ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლებისა და კულტურის კომისიის

სხდომის ოქმი N 26

25 ივნისი, 2019 წელი

14:00 საათი

ქ. თბილისი, თავისუფლების მოედანი N2

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები:

თ. ტალიაშვილი, ა. ლაშხი, მ. დარჩია, ბ. დავითულიანი, ვ. ძნელაძე.

სხდომას ესწრებოდნენ აგრეთვე:

1. გიორგი ტყემალაძე - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე;
2. თევდორე ისაკაძე - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
3. რევაზ სოხაძე - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
4. დავით უთმელიძე - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
5. ლევან ჯაფარიძე - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
6. ოთარ გრიგოლია - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
7. ვახტანგ შაქარიშვილი - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;

მოწვეული სტუმრები:

1. სერგო ბირკაძე - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიული საქალაქო სამსახურის უფროსი;
2. გიორგი ებანოიძე - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო უფროსის თანამდებობაზე წარდგენილი კანდიდატი.

სხდომას თავმჯდომარეობდა ქალბატონი თამარ ტალიაშვილი (ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლებისა და კულტურის კომისიის თავმჯდომარე).

სხდომის დღის წესრიგი:

1. **საკითხი:** „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის

(საქალაქო სამსახურის უფროსი) თანამდებობაზე გიორგი ებანოიძის დანიშვნაზე თანხმობის მიცემის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვა (12-0319171114-03; 20.06.2019).

მომხსენებელი: ბატონი სერგო ბირკაძე
თანამდებობა: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიული საქალაქო სამსახურის უფროსი.

სხდომის თავმჯდომარე, ქალბატონი თამარ ტალიაშვილი მიესალმა სხდომის მონაწილეებს, სხდომა გახსნილად გამოაცხადა და წარმოადგინა დღის წესრიგი, რომელიც კომისიის წევრთა მიერ მოწონებულ იქნა და ერთხმად დამტკიცდა.

მოისმინეს:

სხდომის განსახილველი საკითხი წარმოადგინა ბატონმა სერგო ბირკაძემ, რომელმაც ისაუბრა ბატონი გიორგი ებანოიძის სამუშაო გამოცდილებისა და განათლების შესახებ. მისი თქმით, ბატონმა გიორგიმ ეკონომიკურ, მენეჯერულ და იურიდიულ სფეროებში განათლება მიიღო ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და გერმანიის მენეჯმენტის აკადემიაში; მოცემული დროისთვის მუშაობს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურში, სხვადასხვა დროს კი მუშაობდა დედაქალაქის მერიის სხვა საქალაქო სამსახურშიც მენეჯერულ პოზიციებზე.

საკრებულოს წევრმა, ბატონმა რევაზ სოხაძემ აღნიშნა, რომ ბატონი გიორგი ებანოიძე მონაწილეობდა დედაქალაქის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის საქმიანობის სრულყოფაში, რომელსაც ერთ-ერთი რთულ ფუნქცია აქვს და შესაბამისად, მისი ხელმძღვანელობაც ძალიან საპასუხისმგებლოა. დეპუტატმა, ასევე გამოთქვა იმედი, რომ თბილისის მოსახლეობას, აღნიშნულ საქალაქო სამსახურში სერვისის მიღებისას ექნება სამართლიანობის განცდა, მომსახურებისას კი დაცული იქნება ერთი ფანჯრის პრინციპი. სიტყვის დასასრულს, მან წარმატება უსურვა ბატონ გიორგი ებანოიძეს და იმედი გამოთქვა, რომ მისი საქმიანობა დაეტყობა დედაქალაქს.

კომისიის თავმჯდომარის, ქალბატონ თამარ ტალიაშვილის განმარტებით, დედაქალაქის მდგრადი ურბანული განვითარებისა და კულტურული იერსახის შენარჩუნება ერთი მხრივ, მნიშვნელოვანია ქალაქისთვის და მეორე მხრივ, იმ კულტურულ-საგანმანათლებლო ღონისძიებებისთვის, რომელსაც თბილისი წლის განმავლობაში ღია ცის ქვეშ აქტიურად ატარებს. დეპუტატმა ასევე, ისაუბრა თბილისის განაშენიანების რეგულირების გენერალური გეგმის თანახმად მის სამაჟორიტარო ტერიტორიაზე, ზღვისუბანში, გათვალისწინებული ახალი პარკის მშენებლობის თაობაზე.

კომისიის თავმჯდომარის განმარტებით, იგი დარწმუნებულია, რომ ბატონი გიორგი ებანოიძე, მისი განათლებითა და სამუშაო გამოცდილებით, შეძლებს დედაქალაქის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურს წარმატებულად გაუძღვეს. მისივე თქმით, ამ სამსახურს მართლაც რთული საქმიანობა უწევს.

დღის წესრიგის პირველ საკითხთან დაკავშირებით აზრი გამოთქვეს:

სერგო ბირკაძემ, რევაზ სოხაძემ, თამარ ტალიაშვილმა.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის (საქალაქო სამსახურის უფროსი) თანამდებობაზე გიორგი ებანოიძის დანიშვნაზე თანხმობის მიცემის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის დადებითად შეფასებისა და მისი ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გადაცემის შესახებ.

მომხრე _____	5
წინააღმდეგი _____	0
თავი შეიკავა _____	0

ერთხმად გადაწყვიტეს: განათლებისა და კულტურის კომისია დადებითად აფასებს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის უფროსის თანამდებობაზე ბატონი გიორგი ებანოიძის დანიშვნის საკითხს და მხარს უჭერს „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის (საქალაქო სამსახურის უფროსი) თანამდებობაზე გიორგი ებანოიძის დანიშვნაზე თანხმობის მიცემის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის გადაცემას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე:

თამარ ტალიაშვილი _____